გაზეთი ღირს

| თვეე | მან. კ. | თვეე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892



## სახელმწიფო ბანკის განყოფილებისაგან ტფილისში.

სახელმწიფო ბანკის განყოფილება ტფილისში ამით იუწყება საყოველთაოდ, რომ სახელმწიფო ბანკის განკარგულებისამებრ, **ამ იანვრის 24, დილის 10 საათიდამ ნაშუადღევის 3 საათამდე**, ამ ბანკის განყოფილების სადგომში **იქნება გასყიდვა საქველ-მოქმედო ლოტარეიას ბილეთებისა** იმ გუბერნიების სასარგებლოდ, რომელნიც დაიმშა 1891 წლის მოუსავლობის გამო. იქნება გასყიდვა აგრეთვე ცალკე კუპონებისაცა. ფასი ბილეთისა 5 მან., ხოლო კუპონისა—1 მან. უკეთუ მყიდველი მთელს ბილეთს-კი არ იყიდის, არამედ მოითხოვს ცალკე კუპონს, ამ შემთხვევაში ის წესი იქმნება დაცული, რომ ჯერ ერთის ბილეთის კუპონები გაისყიდოს და მერე მეორესი და არა ერთად რამდენისამე ბილეთისა. როცა ერთის ბილეთის კუპონები გაიყიდება, მხოლოდ მაშინ დაიჭრება შემდეგი ბილეთი კუპონებად და ახლა ის გაიყიდება. (3—0—2)

ტფილისის სობრანიაში

კვირას, 26 იანვარს, დანიშნულია

**კონცერტი**

6 იანვარს მომხდარის უბედურებით დაზარალებულ იჯახობათა სასარგებლოდ. კონცერტს შემდეგ

**ცეკვა**

ბილეთების ყიდვა შეიძლება გ. მ. მირიმანიანის სამუსიკო დეპოში, სასახლის ქუჩა ტფ. სათ-აზნ. ბან. თეატრის ქარვასლაში, ხოლო კონცერტის დღეს სობრანიის შვეიცართან. (5—2)

**კბილის ექიმი**

**ა. ი. ორბელი**

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 10 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—10)


ტფილისი, 22 იანვარი

ქუთაისის საზოგადო საქმეთა მიმდინარეობამ კიდევ ერთი ურიგობა შეიტანა თავის მატიანეში. მესამე რიგობის არჩევანები არ მოხდა კრების თავ-მჯდომარის განკარგულებით. დეპეშები ქუთაისიდამ გვაუწყებდნენ, რომ კრების თავ-მჯდომარეს ამის მიზეზად გამოუცხადებია, რომ ზოგიერთი უკანონობა, რომელიც ჩაერთვა ამ არჩევანსა, იძულებულ მხდისო შევაყენო არჩევანები ვიდრე მთავრობა მოახდენდეს ამ საგანზე ჯეროვანს განკარგულებასაო.

რით და რომელი კანონი დარღვეული იქმნა ამ კრებისაგან, დღეს აქამომდე არ ვიცოდით. ეხლა კორესპონდენტები სხვა-და-სხვა აქაურ გაზეთებისა თითქმის ერთ ხმად და ერთნაირად გვაუწყებენ, რომ ორს დასს შორის, რომელნიც ამ არჩევანებში ერთმანეთს ებრძვიან, ერთი მეტად უმართებულოდ მოქცეულა თავის მეთაურთა წყალობით. საქმე ის არის, რომ არჩევანების ყუთებთან, რომელნიც რიცხვით ათია თურმე, დაუყენებიათ გამგებელნი და ამათ შორის ერთი თურმე ბ-ნი კალ. ჩიკვაიძე ყოფილა. ამ ბ-ნს ჩიკვაიძეს აბრალებენ, რომ ამომრჩევლებს ასწავლიდა თურმე, ვის მისცენ თეთრი კენჭი და ვის შავი მითამ იმისდა მიხედვით თუ—ვინ სდომებია გაეთეთრებინა და ვინ გაეშავებინა.

ეს ასეთი ქცევა შეუნიშნავს ერთს სხვა გამგებელს ბ-ნს ნაზაროვს, რომელსაც გამოუცხადებია ყოველივე ეს საჯაროდ თავ-მჯდომარესათვის. თავ-მჯდომარეს, რასაკვირველია, ყურადღება მიუქცევია და რომ ამისთანა უწესოებას შემდეგში ადგილი აღარ ჰქონოდა, უთქვამს,—ვინც არ იცის, რომელი მხარეა ყუთისა ამომრჩეველი და რომელი არა, მე დამეკითხენით და მე აღგიხსნითო. როგორც ეტყობა, ბ-ნს ჩიკვაიძეს ამის შემდეგაც არ დაუშლია თავისი მოქმედება, რადგანაც ბ-ნ ნაზაროვს ხელმეორედ მოუხსენებია ეს ამბავი კრებისათვის და არჩევანის გამგებლობისათვის თავი დაუნებებია და გადამდგარა. აშკარაა, მიზეზი მეტად მძიმე ყოფილა, რომ ბ-ნი ნაზაროვი ერთხელ ნაკისრ თანამდებობისაგან იძულებულ შექმნილა გადამდგარიყო.

ეს ერთი ურიგობა და უწესობა, რომელიც არ შეიძლება არ დავიჯეროთ, ჯერ იმიტომ-რომ ყველა კორესპონდენტები ამას ჰმოწმობენ, მეორე იმიტომ-რომ ერთი გამგებელთაგანი ესეთის დაჟინებით ორჯერ, თუ სამჯერ ერთსა და იმავე ამბავს არ განიმეორებდა ეგრე საჯაროდ და ამოდენა ხალხში, თუ მართლა საბუთი არა ჰქონოდა.

როგორც მოხსენებული იყო, ათი ყუთი დაედგათ ათის კაცის ამოსარჩევად. თქმა არ უნდა, რომ რაკი ერთსა და იმავე დროს ერთი და იგივე რიცხვი ამომრჩეველთა კენჭს იძლევა, კენჭთა საერთო რიცხვი—თეთრი და შავი ერთად—ერთი და იგივე უნდა იყოს თვითოეულს ყუთში. ბოლოს-კი, როცა დაუთვლიათ კენჭი, გამოსულა, რომ ზოგში კენჭი მეტია, ზოგში ნაკლები და მეტ-ნაკლებობა ზოგში თითქმის ოცამდე ასულა. ამისთანა მეტ-ნაკლებობა, რასაკვირველია, სხვას არას მიეწერება ამ შემთხვევაში, თუ არ იმას, რომ ერთსა და იმავე კენჭოსანს ერთის მაგიერ რამდენიმე კენჭი ერთს ყუთში უყრია. როგორ უნდა მომხდარიყო ამისთანა უჯერობა? ორი მიზეზი აღმოჩნდა თურმე ამისი. ერთი ის, რომ ზოგს აბრალებენ, მომეტებული კენჭი შინიდამვე მოუტანიათო, და ზოგს კიდევ იმას, რომ თავ-მჯდომარეს ათის არჩევანისათვის ათივე კენჭი ერთად უძლევია ამომრჩევლისათვის იმ აზრით, რომ თითო კენჭს თითო ყუთისათვის მოიხმარებსო.

პირველს მიზეზს დასაბუთება უნდა და აქ მარტო ცალიერის გუმანის მიტანა საკმაო არ არის, თუმცა მაგისთანა უკადრისს საქციელს შესაძლებლად ვხადით იმათთვის, ვინც მართებულობაზე ხელ-აღებულია. ძნელია კაცმა კაცს უკადრისობა შესწამოს და ამისათვის ხელ-შეუვალი საბუთი ხელთ არა ჰქონდეს. მეორე მიზეზი-კი ადვილად დასაჯერებელია, მით უფრო, რომ აქ შეცდომა უცოდინარობისაგანაც ადვილად მოხდება ხოლმე. ამიტომაც ყველგან წესად მიღებულია, რომ ერთს ამომრჩეველს ერთსა და იმავე დროს რამდენიმე კენჭი არ აძლიონ. ყოველს ორსა თუ სამს ყუთთან თითო გამგებელი უნდა იყოს მიჩემებული, რომელმაც თითო ყუთთან თითო კენჭი უნდა აძლიოს და, ვიდრე ერთს არ მორჩება, მეორის კენჭის გამორთმევა აკრძალული უნდა ჰქონდეს. ყველგან ესეა და, ჩვენა გვგონია, რომ ბრალი ამ მხრით უწესოებისა უნდა დაედვას არჩევანების რიგის დამწყობს: ერთსა და იმავე დროს ერთის კაცისათვის ათი კენჭი არ უნდა ეძლია. ამ შემთხვევაში რომ კენჭოსანს ფიქრადაც არა ჰქონდეს განძრახ მოახდინოს რამე უწესოება, შესაძლოა უცოდინარობის გამოც ერთს ყუთში ორი და სამი კენჭი ჩაჰყაროს და ამის გამო ბოლოს კენჭთა საერთო რიცხვის შეუწყნარებელი მეტ-ნაკლებობა გამოჩნდეს.

ეს ყოველივე ხომ ესეა და ესე. ჩვენ მარტო ეს გვიკვირს: ქუთათელებს რად ემართებათ ხოლმე საზოგადო საქმეებში იმისთანა ამბები, რომელთ გამოც ყოველს ჭეშმარიტს ქართველს, ყოველს ჩვენს გულ-შემატკივარს გული ნაღვლით ევსება. აქ მიზეზი ნაღვლისა ის-კი არ არის, რომ ორი დასი ერთმანეთს ებრძვის. მაგისთანა ამბავი სად არ არის? უნდა იყოს კიდეც, თუ საზოგადოება სცხოვრობს და მოქმედებს. ხოლო სანატრელი ის არის, რომ ყოველს ამაში აზრი აზრს დაუპირდაპიროს კაცმა, იდეამ იდეას გაუწიოს ანგარიში და არა ღობემძვრალა შურმა და მტრობამ დააჯახოს წევრნი ერთისა და იმავე საზოგადოებისა ერთმანეთს მარტო იმისთვის, რომ მე ასე მნებავსო და თვალი უნდა მოგთხაროვო. შურისა და მტრობისაგან გამოწვეულს ბრძოლაში სანაღვლელი ის არის, რომ არავითარს ზნეობურს კანონს, არავითარს საზნეო მოვალეობას ადგილი არა აქვს ხოლმე, პირ-იქით ყოველსავე ნაძირალა ინსტიქტს ხელსა ჰკიდებენ და იმით ჰსურთ ბურთი მოედანიდამ გაიტანონ. ჩვენდა სამწუხაროდ, ამ ბოლოს ხანებში ამისთანა უკადრისს ტყვია-წამალს ჰხმარობენ ხოლმე ჩვენში და, არა გვგონია, ამან ჩვენ რაიმე სხვა სამსახური გაგვიწიოს, თუ არ ის, რომ უამისოდ სუსტი საზოგადოებური

# ფელეტონი

## კარგად მოხმარებული მილიონები *)

ინგლისშიაც ამერიკასავით საქველ-მოქმედო საქმე დიდად გავრცელებულია. მაგალითებრ, იედედია სტროტტმა (Iedediah Stprutt) წარსულს საუკუნეში გამოიგონა წინდების საქსოვი სკამი და ამითი დიდი ქონება შეიძინა. როგორც ის, აგრეთვე მისი შვილებიც იმის ცდაში იყვნენ, რომ თავიანთს ფაბრიკებში მუშების ზნეობითი და საზოგადო მდგომარეობა გაეუმჯობესებინათ. იოსებ სტროტტმა თავისს სამშობლო ქალაქს აჩუქა დერბის მშვენიერი პარკი და თან შემდეგის სიტყვებით მიჰმართა: „რადგანაც ჩემს სიცოცხლეში ბედნიერების მფარველობის ქვეშე ვიმყოფებოდი, ჩემის მხრით უმადურობა იქნება, რომ ნაწილი ჩემის ქონებისა არ განვუზიარო ჩემს თანამემამულეებს, რომელთა სიბეჯითემ ასე ხელი შემიწყო ქონების შეძენის დროსაო.“

რობერტ ბერკლეიმ (Robert Barclay), რომელიც გარდაიცვალა 1830 წ., დააფუძნა უშველებელი სავაჭრო სახლი ლონდონში და მომეტებულ ნაწილად აფრიკასთან ჰქონდა ვაჭრობა. თავისს თავს მოვაჭრედ ჰრაცხდა და კარგი მაგალითი სურდა ეჩვენებინა საზოგადოებისათვის. თავისს სადგომს ახლო მუშების სახლიააშენა და ბევრის ხნის განმავლობაში ამ სახლს ახარჯებდა ფულს, ვიდრე უზრუნველ არა ჰყოფდა. ეს საქველ-მოქმედო სამადლო დაწესებულებანი უდიდესი საქმეა კაცობრიობის სიყვარულისა, უფრო სამაგალითო და ღირსეულია, ვიდრე საზოგადოდ შემოღებული მოწყალების დარიგება. ბერკლეიმვე, იამაიკაში მემკვიდრეობის მიღების შემდეგ, მაშინვე თავისს მამულებში ბატონ-ყმობა მოსპო და ყველა თავისს ყმა ზანგს თავისუფლება მიანიჭა, თუმცა იმ მამულებს ყოველს წელიწადს შემოჰქონდა 10,000 გირვანქა სტერლინგი *). ამას გარდა, თავისის საკუთარის გემით ეს განთავისუფლებული ზანგები გადააყვანინა ჩრდილოეთ ამერიკის ერთს თავისუფალს შტატთაგანში, სადაც განთავისუფლებულებს შეეძლოთ ცალკე საზოგადოებად დასახლებულ-დამკვიდრებულიყვნენ. თავისის დიდის ქონების გამნაწილებელი და მომხმარებელი თითონვე იყო და ამით თავისის სიცოცხლის დროსვე ჰნახა თავისი ნათესავები ფეხზედ წამოყენებული და ზურგში გამაგრებული.

ვილიამ ბასს (Yilliam Bass) ერთის ქარხნის ლუდი დაჰქონდა ქ. ბურტონში (Burton). ამ კაცმა თავისის ყაირათით იმდენი მოიზავა და მოიჴირნახულა ფული, რომ ბოლოს საკუთარი ლუდის ქარხანა დააწესა, რომელიც ინგლისში უპირველეს ქარხანად ითვლებოდა. დღეს დღეობამდე ეს ქარხანა საზღვარ გარედ ჰგზავნის 100 მილიონ ბოთლს. როდესაც მიხეილ თომბასი 80 წლის მოხუცი შეიქმნა, თავისი უზარმაზარი ქარხანა ერთს საზოგადოებას გადასცა და თავისი დანარჩენი სიცოცხლეც სამადლო საქმეებს მოანდომა. ამ კაცმა თავისი სამშობლო ქალაქი საყოველთაო ბაღებითა და საზოგადოდ სასარგებლო დაწესებულებანით შეამკო: მუზეით, ბიბლიოთეკით, საზოგადო აბანოებით და სხვა. ამისთანა მაგალითს წაჰბაძა მეორე მდიდარმა ლუდის გამომხდელმაც, ედვარდმა გინესმა (Eduard Guinnels) დუბლინში, რომელმაც დუბლინსა და ლონდონში მუშების სახლების გასამართავად 250 ათასი გირვანქა სტერლინგი შესწირა. ამდენი მაგალითი დავასახელეთ ამერიკასა და ინგლისის ქველ-მოქმედებისა იმიტომ-კი არა, რომ მარტო ამ ქვეყნებში მოიძებნებოდეს ისეთი მაგალითები. არა, ვინ არ იცის, რომ დიდ-ძალი ქონებავეა კერძო კაცთაგან საქველ-მოქმედოდ შეწირული ბელგიასა, საფრანგეთსა, ავსტრიასა, გერმანიასა და შვეიცარიაშიაც; შვეიცარიის ქალაქი ჟენევაც-კი, მაგალითებრ, გულ-უხვად გაამდიდრა კერძო კაცმა ახლად გარდაცვლილმა ქაირში პროფესორმა გუსტავმა რევილლოდმა, (Gustav Revillod), რომელმაც შესწირა ქალაქს ჟენევას ახლო მყოფი მუზეი, 4 მილიონ ფრანკად ღირებული, 600 ათას ფრანკად ღირებული მამული და ერთი მილიონისა ფასიანი ქალალდები.

მაშ თითო-ოროლა ამ გვარი მა-

*) იხ. „ივერია“, № 3.

*) ერთი გირვანქა სტერლინგი უდრის ერთს თუმანს.

ზნეობა ჩვენი უფრო არ გახწნას, უფრო არ გაგვიფუჭოს.

თუ ბ-ნ ჩიკვაიძისა და მისის დასის მოქმედება მართლა ისეთია, როგორც კორესპონდენტი იწერება, ჩვენ ჩვენი წმინდა მოვალეობა გვაიძულებს იგი მოქმედება განუკიცხველად არ დავტოვოთ. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ საქებური მხნეობა, რომელიც ამ არჩევანებში გამოიჩინა ქუთაისის ქალაქის მოურავმა ბ-ნმა ასათიანმა, თუ ბოლოს არ მოუღებს ამ ზნეობურს უმართებულობას, ისე მაინც არ ჩაატარებს, რომ სამერმისოდ მაინც ჭკუა არ ასწავლოს და კრიჭა არ შეუკრას იმათ, ვისაც უკადრისობით მოგებული ომი გამარჯვება ჰგონია.

## ახალი ამბავი

*** სასოფლო პურის მაღაზიების საქმე ტფილისის გუბერნიაში დღითი-დღე სიკეთესა და წინმსვლელობაში მიდის. თუ შემდეგაც ასე წავიდა საქმე, იმოდენა თანხა და პური ექნება ჩვენს ხალხს, რომ ორის წლის მოუსავლობასაც აინუნში არ ჩაიგდებს. აი, მაგალითებრ, რამოდენა ფული და პურია შეგროვილი ჩვენს მაზრებში: ახალციხის მაზრაში ნაღდი ფულია 15 ათასი მანათი, ტფილისისაში—25—ათასი მ., დუშეთისაში — 17 ათასი, ახალქალაქისაში— 74 ათასი, სიღნაღისაში—50 ათასი. მაზრის უფროსებისაგან ჯერ ცნობანი არ მოსულა, რამოდენა პური და ქერია მათს მაზრებში, ეს-კი ვიცით, რომ სოფლის მაღაზიები ავსებით სავსეა პურით და ქერით. ახალქალაქის მაზრაში 74 ათასი ფუთია და სიღნაღისაში—50 ათასი ფუთი პური და ქერი. ამას გარდა, სოფლებში აშენებენ თავიანთის ხარჯით სოფლელები შენობებს პურის შესანახად. მათი ფასი მარტო ახალციხის მაზრაში აღემატება ხუთი ათას მანეთს. გორისა და თელავის მაზრებიდამ ამბებს ამ დღეებში მოელის საგუბერნიო მთავრობა და ჩვენც უმალვე შევატყობინებთ ამ ფრიად სასიამოვნო ამბავს ჩვენს მკითხველებს.

*** უმაღლესის ბრძანებისამებრ, ოზურგეთის საქალაქო სასწავლებლიდგან 20 სამოც-მანათიანი სტიპენდია ამიერ კავკასიის ულარიბეს აზნაურთა გადატანილ უნდა იქმნას ბათუმის სახელოსნო სასწავლებელში და 10 სტიპენდია დაარსდეს, თითო 120 მ.

*** 15 ამ თთვისას, ნაშუადღევის საამს საათზე კუკიის მართლ-მადიდებელთა სასაფლაოზე ვიღაც სამს ბოროტ-განმზრახველს საფლავების მატურებზე ჯვრები დაუმტვრევიათ და აგრეთვე თვით მატურები წაუხდენიათ. ბოროტ-განმზრახველების ვინაობა ჯერ ვერ გაუგიათ. დამტვრეული ჯვრები მატურებისა სასაფლაოს ყარაულსა აქვს შენახული.

*** უმაღლესი ბრძანება გამოვიდა, რომ 12 ათასი მანათი მიეცეს ყარსის ოლქის ოლთის სასოფლო ორკლასიან სკოლის გასამართავად.

*** 16 ამ თთვისას საზარელი ავაზაკობა მომხდარა სოფელს ყვარელში: მოუკლავთ სამი მებაღე იმერელი თავ. ნ. ჭავჭავაძისა. სამივე ცულით დაუხოციათ. ავაზაკები ჯერ ვერ აღმოუჩენიათ, თუმცა-კი ეჭვი ერთს მუღანლოელზე აქვთ მიტანილი. მიზეზი ამ საზარელის ამბავისა შურის ძიება ყოფილა.

*** ბაქოელს ვაჭარს, პატვაკანოვს, რომელმაც პ. ასლანოვი მოჰკლა და შემდეგ თავიც მოიკლა, ანდერძი დაუტოვებია, რომ ერთი მეხუთედი ჩემის ქონებისა ადგილობრივს სომეხთა საკაცთმოყვარეო საზოგადოებას მიეცესო. როგორც ამბობენ, პატვაკანოვს 400,000 მან. შეძლება დარჩენია.

*** ბ-ნმა ა. ჯვარიშვილმა შესწირა „წერა-კითხვის საზოგადოების“ ბიბლიოთეკას ორი ხელთნაწერი წიგნი: 1, წესი და განგება მეექვსის კრებისა და 2, სხვა-და-სხვა მოთხრობა. ამავე ბიბლიოთეკას შესწირეს ძველი ფული:

გრიგოლ ტატიშვილმა—ერთი ბერძნული და კონდრატე ინასარიძემ ერთი—ქართული, თეიმურაზ II-ისა.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ გამგეობა შემომწირველთ მადლობას უძღვნის.

*** როგორც ს. ვ. მარკოვის „ამიერ კავკასიის აქციზის საქმის ანგარიშიდგან“ სჩანს, პურის მოსავალი 1890 წელს ყველგან საშუალო ყოფილა, სიმინდი და ხილიც ცოტა მოსულა, კახეთში და ერევნის გუბერნიაში ღვინის მოსავალი ძლიერ ნაკლები ყოფილა. მხოლოდ განჯისა და ბაქოს გუბერნიებში ძლიერ კარგი ყოფილა მოსავალი თუთისა. მარტო განჯის გუბერნიაში 1890 წელს თუთისა და სხვა ხილისაგან 8,072,569° არაყი გამოხდილა. ამ არაყის აქციზი შემდგარა 408,357 მ. 80 კ.; თხლისა და ჭაჭის არაყი ამიერ კავკასიაში 1890 წელს გამოხდილა 11,175,227°. პურის არაყი ამ წელს გამოხდილა მხოლოდ 2,370,220°. ამიერ კავკასიაში 1890 წელს სულ 91 ლუდის ქარხანა ყოფილა. ლუდის აქციზი შემოსულია ხაზინას 69,904 მანათი, 4 ათასით მეტი 1889 წლის შემოსავალზედ. თამბაქოს მოსავალს 1890 წელს საკმაოდ უმატნია. ამიერ კავკასიაში სულ 17.418 თამბაქოს პლანტაცია ყოფილა. ქარხნებში თამბაქო გაკეთებულა 39,089 ფუთი სულ სხვა-და-სხვა ხირისხისა, 161 ათასი ცალი სიგარა და 119,214,300 პაპიროსი.

*** პეტერბურგიდგან შემდეგი ამბავი მოვიდა ტფილისს: ამ ახლო ხანში ბათუმში ორის ჯავშნიან გემისა და ოთხის ნაღმიან ნავის დაყენებას აპირებენ. ამას გარდა, ამ ზაფხულს დიდი აღლუმი უნდა იყოს ყარსთან. აღლუმი, როგორც ამბობენ, უნდა დაიწყოს ბათუმის ოლქიდგან. ზაფხულშივე დიდი ჯარი იქნება გაგზავნილი იმიერ კასპიის მხარეს, ავღანისტანისაკენ.

სამხედრო უწყება ოფიციალურად დაეკითხა ტფილისის ქალაქის მმართველობას, რამოდენა ჯარისთვის შეუძლიან ქალაქს იშოვოს სადგომები, თუ რომ ტფილისზე ჯარს გავლა მოუხდება.

*** სასამართლოს განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელ მა ბ-ნმა დრაგნევიჩმა გაათავა გამოკითხვა პოლიციისა, ქალაქის გამგეობის წევრებისა და ხუროთ-მოძღვრებისა ნათლისღების უბედურობის შესახებ. ამ დღეებში გამომძიებელი ჩვენებას ჩამოართმევს ტერ-კოსტა არარატიანცს.

*** ამ დღეებში ქალაქის გამგეობამ განიხილა პროექტი საქალაქო ლაბორატორიისა და კიდეც დაამტკიცა. პროექტის აზრით, საგანი ლაბარატორიისა ის არის, რომ ქიმიურად და მიკროსკოპიულად გამოიკვლიოს სასმელ-საჭმელი, რომელსაც წარუდგენენ სანიტარები, პოლიცია, კერძო დაწესებულებანი და აგრეთვე კერძო კაცნი. გარდა ამისა, თვით ქალაქის ლაბორატორიაც თავისით იკვლევს სხვა-და-სხვა სანოვაგეს, რათა შეისწავლოს ნივთიერებანი, რომელსაც სანოვაგის ყალბად მომზადებისათვის ხმარობენ, და აღმოაჩინოს ღონის-ძიებანი ამის მოსასპობლად. მალე წასახდომი სანოვაგე ლაბორატორია ვალდებულია სასწრაფოდ გამოიკვლიოს. ფასი გამოკვლევისათვის გამგეობამ იმ ნიხრით უნდა ახდევინოს, რასაც გამგეობა დააწესებს, ხოლო სანიტარების და პოლიციის მიერ წარდგენილი ნიმუშები სანოვაგისა უსასყიდლოდ უნდა გამოიკვლიოს, როდესაც ეჭვი არის შეტანილი ამ სანოვაგის ღირსებაზე. თუ საჭირო იქნება არაკეთილსინიდისიერ მოვაჭრეთა სამართალში მიცემა, მაშინ ოქმი და დასკვნა ლაბარატორიისა სანოვაგის შესახებ უნდა წარუდგინოს გამგეობას, რომელიც თავისის მხრით წარგზავნის სასამართლოში.

*** ცხინვალი: 28 დეკემბერს წარმოდგენა გამართეს კნ. ეფემია მაჩაბლის თაოსნობით. წარმოადგინეს ცაგარლის კომედია „ხანუმა“. ჩვენმა გამოცდილმა მსახიობმა თ. ზაალ მაჩაბელმა თავის გამოცდილებით ისე კარგად მოამზადა თითქმის პირველად მოთამაშენი სცენაზედ, რომ სწორედ საუცხოოდ ჩაიარა მთელმა პიესამ. დამსწრე საზოგადოება ისე კმაყოფილი დარჩა, რომ განმეორებას თხოულობდა. შემოსავალი ამ წარმოდგენისა დანიშნული იყო დამშეულთათვის რუსეთში. სულ შემოვიდა 98 მ. და 16 კ. დაიხარჯა სცენის გასამართავად 24 მან. და 6 კ. საკრავი და სხვა წვრილმანი ხარჯი 14 მ. და 10 კ. პიესების სყიდვა და გადაწერა 10 მ., სულ 38 მ. და 16 კ. დანარჩენი 60 მ. მოთავემ კნ. ე. მაჩაბლისამ ჩააბარა ბოქაულს და გაიგზავნა: Въ Петербургъ. Въ Высочайше учрежденный, подъ предсѣдательствомъ Его Императорскаго Высочества Наслѣдника Цесаревича, Особый Комитетъ.

*** ბარის ოსეთი: ბარის ოსეთში თხუთმეტი სოფელია. ამ თხუთმეტს სოფელში სამასს კომლზედ თუ არ მეტი, ნაკლები არც ერთს სოფელში არ არის. ამ სოფლებში მცხოვრებმა ოსებმა ყველამ თავისი წვლილი შესწირეს შუაგულ რუსეთის დამშეულს გუბერნიებში მცხოვრებთ, თუ ფულით და თუ სიმინდით, მომეტებულად სიმინდით. არ დარჩა ისეთი ღარიბი მოსახლე ოსი, რომ თითო მერკა არ შეეწირა (ფუთი და თვრამეტი გირვანქაა მერკა), თორემ შეძლებულთ ხომ სამი და ხუთი მერკაც შესწირეს. ამ ნაირის შეწირულებით თითო სოფლიდგან თითო ვაგონი და უკანასკნელად ნახევარ ვაგონზედ ნაკლები არავის გაუგზავნია და ფულადაც კიდევ სხვა.

*** იქიდამვე: ბესლანისსადგურიდგან პეტროვსკისკენ რკინის გზის მუშაობა, ეს თითქმის თვეზედ მეტი არის, რაც შეაყენეს. მიზეზი ის არის, როგორც ამბობენ, რომ კავკაველები ცდილობენ კავკავიდგან გაყვანას ამ გზისას და, მათის თხოვნისამებრ, სანამ ნამდვილად არ გადაწყდება, საიდგან უნდა გავიდეს პეტროვსკის რკინის გზა, მანამ უნდა შემდგარი იყოს მუშაობაო.

*** სოფ. ხუმელაგა (კავკავის მაზრა): ათს ამ თთვეს კინაღამ ერთი საცოდავობა არ მოხდა ჩვენში. საქმე ასე იყო: ოსებს ჩვეულებად აქვთ, ქალს რომ გაათხოვებენ, რამდენისამე თთვის, ანუ ნახევარ წლის უკან, მოსაკითხს წაუღებენ ხოლმე გათხოვილს ქალს. მოსაკითხთან უნდა წავიდეს ქალის ძმა, და დაი სხვა თავისი მეგვარეული და ახლო ვინმე ნათესავი, ქალნი და ყმაწვილი ბიჭები. აი ამ ნაირის ჩვეულებისამებრ, რვას ამ თთვეს წავიდა ხუმელაგელი ანდრია გუკაევი ქრისტიანის სოფელში მოსაკითხით თავის დის სანახავად, თან წაიყვანა ორი ყმაწვილი ბიჭი თავის მეგვარეთაგანი და ორი ქალი. უკან დაბრუნდნენ ათს ამ თთვეს, ბინდისას მოადგნენ ხუმელაგის ახლო მდინარე თერგს. თერგს ცოტა გაყინული ჰქონდა ნაპირები, შემოაყენეს ცხენის ურემი თუ არა, ჩატყდა ყინული, გადაბრუნდა ურემი და შიგ მსხდომნი სულ ერთიანად ქვეშ მოჰყვნენ და ჩაიჭედნენ ყინულში. როგორც იყო, ერთი მათგანი უფრო ხელ-მარჯვე, უვიჟიყო, გამოეცალა ურემს ქვეშიდგან, გადმოაბრუნა ურემი და და-

გალითი ევროპის ცხოვრებიდგანაც დავასახელოთ. ბადენის ქალაქს კიპპენჰეიმში სდგას ძეგლი ერთის კაცისა, რომელსაც მისმა თანამემამულეებმა მადლობის ნიშნად დაუდგეს. ეს კაცი იყო მკერვალი, რომელიც ლონდონში გამდიდრდა და 1832 წ. ტულონში გარდაიცვალა. ამ კეთილმა კაცმა თავისს პატარა სამშობლო ქალაქს სამკურნალო სახლი და საყდარი აუშენა და სემენარიასა და სხვა სასწავლებლებს ბადენ-ბადენში ასი ათასობით შესწირა. ქველმოქმედებისა და საკეთილო საქმეში გულ-უხვობისათვის დიდმა ჰერცოგმა ბადენისამ მას ერთის ძველის-ძველი სათავადიშვილო მამული მიუმატა და ნება მისცა ამ მამულის სახელი ეტარებინა—Ritter von Ortenberg.

ქალაქ კოლნში (Qüln) 1855 წ. გამდიდრებულმა ტყავის ვაჭარმა იოვანე ჰეინრიხმა რიხარცმა გააშენა თავის სამშობლო ქალაქისათვის თავისის ხარჯით მუზეუმი და გარდასცა 100 ათასი ტალერი თეატრის ასაშენებლად; ამდენივე უანდერძა—საგიჟეთის ასაშენებლად. ერთხელ ამ ქალაქის წარმომადგენელმა, სხვათა შორის, სთქვა, კონლს ბევრი დიდი სახელოვანი, განათლებული მოქალაქე ჰყავდა, მაგრამ ჰქამდე ჯერ რიხარცი-კი არა ჰყოლიაო.“ ერმა წარჩინებულმა კაცმა ფაბრიკის პატრონმა დოლფუსმა ელზასის ქალაქს მიულგაუზენში ათასი პაწია სახლი ააშენა მუშათა ოჯახებისთვის და ისე მოაწყო ეს საქმე, რომ ეს მუშები მარტო სახლის ქირის ძლევით სახლის პატრონები დახდნენ, გამოისყიდეს ზემოხსენებული ასი სახლი. ამას გარდა, მე თვით ვიცნობდი დოლფუსის შვილს. ეს კაცი 1871 წლის საფრანგეთ-გერმანიის ომიანობის შემდეგ გარდასახლდა საფრანგეთში და მედოკში შეისყიდა მამული ვენახებით, ერთ მილიონ 150000 ფრანკად ღირებული; ეს ამოდენა ადგილი ისე მოაწყო, რომ ყოველ მუშის ოჯახს დათმობილი აქვს ორ-სართულიანი სახლი— ქვემოდ სამზარეულოა, ზემოდ სასტუმრო და საწოლი. ამას გარდა, ყოველს სახლთან ბოსტან-ბაღის ადგილიც არის დატოვებული. დოლფუსისავე ხარჯით სწავლობენ მუშების შვილები; ყოველ დილა-საღამოს ეტლი მიდის და მოდის, მიჰყავს ყმაწვილები შატო ბანტროზიდგან ქალაქ პოიაკის სასწავლებელში. თუ რომელმამე მუშა-კაცმა 25 წელი იმსახურა და გარდაიცვალა, ამ მამულში იმისს ოჯახს სადგომი, საზრდო და პენსია ეძლევა. ამ ქველ-მოქმედებისათვის ჟირონდის სამეურნეო საზოგადოებამ მთავრობის დახმარებით დოლფუსი დიდად დააჯილდოვა.

ეს ნუსხა ქველ-მოქმედებისა აშკარად ამტკიცებს, რომ ევროპაში ვაჭარი, ფულის მომგები ხალხი მარტო საკუთარის ბედნიერებისათვის არ იღვწვის და საქვეყნო სიკეთისათვის თავი გადადებული აქვს. იქ მოძმესი დ თანამემამულეს გაჭირვება საერთო უბედურებას, საერთო საზრუნველს საგანს შეადგენს და საერთო ღონითაც სცდილობენ ამ უბედურების, თუ სრულიად თავიდგან აცილება არ შეიძლება, მცირეოდნად შემსუბუქებას მაინც. იქ ამის გამო ქონების შეძენასაც ადამიანური აზრი აქვს და სასურველიც არის, რომ ქველ-მოქმედნი და საზოგადო უბედურების გულ-შემატკივარნი ქონებრივად გაძლიერდნენ და გაღონიერდნენ, რადგან იმათი გაღონიერება თვით ქვეყნის სიკეთე და კეთილდღეობაა.

აბა ამდენს მაგალითს შემდეგ საქართველოსაც გადაჰხედეთ, თუ ორიოდე ამისთანა საქმემ თქვენი თვალი შეაყენოს და გული ასიამოვნოს. იქნება სთქვან, რომ მაგისთანა შეძლებული ჩვენს ქვეყანაში არავინ არის და არც საკვირველია, თუ ქვეყანას მაგისთანა სიკეთეს ვერ უწევენო. ეგეც არ იყოს, სიღარიბეს ვერაფერი გამოჰლევს და ბოლოს ვერაფერი მოუღებსო. ჯერ ერთი, ქვეყნის სამსხვერპლოში ყოველი წვლილი შეიწირება და, ანდაზისა არ იყოს, ზღვაც-კი კოვზით დალევა. მართალია, ძნელია სიღარიბისა და გაჭირვების სულ ერთიანად მოსპობა, ისევე, როგორც ღამის დღედ გადაქცევა, მაგრამ ღამის განათება-კი შესაძლებელია, და აი, ქველ-მოქმედებასაც სწორედ სინათლის შუქი შეაქვს სიღარიბის ღამესა და წყვდიადში.

იმ ვაჭაბატონებმა, რომელნიც მთელს თავისს სიცოცხლეს ზინათის შეძენა-შეკრებას ალევენ, კარგად უნდა იცოდნენ, რომ თუნდა ოქრო სდებიათ და თუნდა ქვა, თუ არ მოიხმარებენ და ქვეყნის სიკეთეს არ შეალევენ. ქონება, მილიონები კარგია, მაგრამ ამ მილიონებს კარგად მოხმარება უნდა და ნეტა მას, ვინც ამ მილიონების მოგებასაც შეიძლებს და რიგიანად მოხმარებასაც.

ქართლელი

ოსებული ამხანაგები ქალები და ბიჭები გამოათრია წყლიდან, მაგრამ ერთი თხუთმეტის წლის ბიჭი ვეღარ იპოვნა ღამის სიბნელისა გამო. ასე გაიარა თითქმის ხუთმა წამმა. ბევრის წვალების შემდეგ ისიც იპოვნა უგრძნობი და ცოცხალ-მკვდარი ამოაძრო ყინულებიდგან. იმათს იღბალზედ იქვე ახლო ფარეხები იყო, ხმაურობაზედ მეცხვარეებიც მიეშველნენ და დასიებულები და დაყინულები ძლივს მიიყვანეს ფარეხებში და მოასულიერეს. ის თხუთმეტის წლის ბიჭი, რომელიც ბოლოს ამოიყვანეს ყინულების ქვეშიდგან, დღესაც მძიმედ არის ავადა და მორჩენა საეჭვოა. სხვებიც ძლიერ დალახულები არიან და ზოგი მუხლებს იტკივებს, ზოგი გვერდებს.

*** „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" მოქმედების $18^{90}/_{91}$ წლის ანგარიშში ბეჭდვის დროს შეპარულია შემდეგი სამძიმო შეცდომა: მე-14 გვერდზე მე-2 სტრ. ქვეიდგან, ზერმნული ენის მაგიერ უნდა იყოს რუსული ენა. წლიურ შემოსავალი-გასავლის ანგარიშში ხელოსნების სკოლის დარჩენილი ფული უნდა იყოს 83 მან.—65 კ. (და არა 83 ე—56); სხვა-და-სხვა შემოწირულება უნდა იყოს—893 მან.—19 კ. (და არა—649 მ.—56 კ): მოგება წიგნების გაყიდვიდგან უნდა იყოს 987 მ.—33 კ. (და არა—687 მ.—33 კ.)

*** 21 დეკემბერს, დილის 10 საათზე, ამერხანოვის ქუჩაზე ვასილ მიხაილოვი 27 წლისა სიმთვრალის დროს შევარდა ნიპორკინის სახლში, სადაც მიხაილოვის ცოლი სარეცხსა რეცხდა და ფულის თხოვნა დაუწყო. ცოლმა უარი უთხრა, რის გამოც მიხაილოვმა თავისს ცოლს შუშის ნაჭერი დაარტყა მარჯვენა ძუძუში და მძიმედ დაჰშავა. შემდეგ მიხაილოვი სახლში წავიდა და იქ კარბოლის სიმჟავე დალია, რომ თავი მოეკლა. ორივე სამკურნალოში გაჰგზავნეს. მიხაილოვი უკვე გარდაიცვალა.

## დამაკვირდი!

ტალანტი თავის დღეში არ იტყვის სამს სიტყვას იქ, სადა ორიც საკმარისია.

ვეისი

**

მსოფლიო ისტორია, ისტორია ყოველ იმისა, რაც ადამიანს გაუკეთებია საქვეყნოს, არის ისტორია დიდ-ბუნებიან კაცთა, რომელთაც აქ, დედამიწაზედ უმოქმედნიათ.

კარლეილი

## კავკასიის იურიდიულ საზოგადოების კრება

(ტატო წულუკიძე)

ტატო წულუკიძე დაიბადა 28 თიბათვეს 1854 წელს ტფილისში დ მოინათლა მ. არდაზიანის მიერ. ტატოს მამა სოლომონი კაი შეძლებული კაცი იყო. ჰქონდა საკუთარი სახლები მთაწმინდაში და სახერხი ქარხანა მადათოვის კუნძულზე. ტატოს ჰყავდა ბლომად ძმები და დები. როგორც ტატომ, აგრეთვე მისმა ძმებმა, შაქრომ, კოტემ და ალექსანდრემ ყველამ სწავლა მიიღო. კოტე და ალექსანდრე მშვიდობიანი მოქალაქენი იყვნენ. დებიც კაი შეძლებულ კაცებს მიათხოვეს. ტატოს ორი წელიწადი დაუყვია ტფილისის სასულიერო სემინარიაში და მერე-კი თავი დაუნებებია. იცოდა კარგად სამშობლო ენას გარდა: სომხური, თათრული, რუსული და ფრანგული. სასწავლებელს რომ თავი დაანება, სოლომონმა ტატო თავისს სიძეს პაატოვს მიაბარა თერძად, მაგრამ დიდხანს ვერ გასძლო. შემდეგ მიკიტნის დუქანში იყო დახლიდრად და სწორედ აქ ეძლევა დასაწყისი მის საშინელს ხელობას და ამ ხელობის პირველს გამოცდილებას. სულ თექვსმეტის წლისა იყო ტატო, რომ თავისს ბატონს მოჰპარა საათი და კინალამ წუთი-სოფელსაც გამოასალმა. შემდეგ ტატოს დაუწყია ქურდობა-ავაზაკობა და შვიდი-რვა წლის განმავლობაში ოცზე მეტი ქურდობა-ავაზაკობა, სახლის გატეხა და კაცის კვლა ჩაუდენია. ჩამორჩობამდე რამდენჯერმე ჩაუვარდა მთავრობას ხელში, ორჯელ კატორგაც გადუწყვიტეს, მაგრამ ტატოს ოსტატურად დაუღწევია თავი, ბორკილებიც ბევრჯელ დაუმტვრევია და ისე გადარჩენილა დასაწყისშივე კანონიერს სასჯელს. ბ-ნმა ფრენკელმა დაწვრილებით და დალაგებით აღნუსხა ყველა ტატოსაგან ჩადენილი ავაზაკობა, მაგრამ ჩვენ მოვიყვანთ აქ მხოლოდ თითო-ოროლას.

ტატო წულუკიძე ყოფილა მშვენიერის, ახოვანის ტანისა, მეტად ლამაზი და ღონიერი ვაჟკაცი. იმისს გამბედაობას, მოხერხებას და თავხედობას ხომ საზღვარი არა ჰქონია. მთელის ქალაქის კინტოები, მედუქნეები, ორთაჭალის და ვერის ბაღების მოიჯარადრენი ისე უცქეროდნენ ტატოს, როგორც ღმერთს და შურით იხოცებოდნენ იმის ვაჟკაცობისა და ქეიფების გამო. ამისთანა საქმეებში ტატოს ცალი და ბადალი არა ჰყოლია.

1872 წელს ტატომ ვიღაც ზურაბოვი გაძარცვა და მეტეხში ჩააბძანეს, მაგრამ მალე უშველა თავს და გაიქცა ოსმალეთში. ტატოს მთელი ოსმალეთი შემოუვლია, ბევრს ყავახანაში გაუტარებია დრო, შემდეგ წასულა საფრანგეთს, სადაც ფრანგული უსწავლია, ყოფილა პარიჟს, ვენასა და სტამბოლში. ორი წელიწადი უხეტიალნია ევროპაში, მაგრამ მალე მოსწყურებია თავის საყვარელ ტფილისის ნახვა და დაბრუნებულა საზღვარ გარეთის მოგზაურობიდამ. იქიდან მოჰყვა ტატოს რაღაც სამასი მანათი და ერთს კვირას გააქრო ეს ფული ლხინსა და ქეიფში. მალე ტატომ (1875 წ.) ახალი ავაზაკობა ჩაიდინა. საპატიმროში განაცხადა, რომ დამნაშავე არა ვარო. „ჩემის სახელით სხვები ავაზაკობენო". ამ ხანადაც გაიქცა ტატო და დააღწია თავი პატიმრობას. ამ გარემოებამ ისე გაათამამა ტატო, რომ კაცის კვლასაც აღარ ერიდებოდა მას შემდეგ. 1875 წ. მოჰკლა ვიღაც რევაზოვი, 1877 წ. სასახლის წინ გაძარცვა თამაზოვი, მოჰკლა თელეთის გზაზედ საცოდავი გლეხი სუქიასოვი, 24 ნოემბერს 1877 წ. მოჰკლა არუთინოვი და სხვა მრავალი. რაღაც სასწაულით ტატო უსხლტებოდა ხელიდამ სასამართლოს. ტატო თავისის ამხანაგით ალერწიანით მცხეთის ტაძარშიაც-კი ყოფილიყო და შეჰვედრებოდა სვეტი-ცხოველს, შეგვეწიე და ხელი მოგვიმართე ჩვენს საქმეშიო. ტატოს დროებით მოსწყენია ქალაქი და გაუკურცხლავს კავკასიკენ; შემდეგ ასულა როსტოვში, იქ ვაჭრობა დაუწყია. პოლიციას რომ ალღო აუღია, ნახიჩევანში გადასულა და იქიდან ისევ ტფილისში დაბრუნებულა. ტატო დიდი ოსტატი კაცი ყოფილა და ძალიან სცოდნია თავის დაძვრენა და დამალვა, მაგრამ, მისდა საუბედუროდ, პოლიციის ოსტატი მოხელეც მოუვლინა ღმერთმა გასათოკად. ეს მოხელე გახლდათ ბ-ნი ლოლაძე.

ტატო როსტოვიდან რომ დაბრუნდა, იური ახვერდოვი გაძარცვა. ამას შემდეგ იმან და ვიღაც ნასყიდამ აზრუმში დააპირეს გაქუსვლა და ყარსისკენ გაემართნენ. ლოლაძეც ფეხ-და-ფეხ მიჰყვა. ყარსის ახლოს, ერთს პატარა სოფელში ტატო გათოკა ლოლაძემ და წარუდგინა ყარსის სამხედრო გუბერნატორს ფრანკინის. ომიანობის დროს ტფილისში სასტიკი წესები იყო შემოღებული და ტატოც სამხედრო სამართალს მისცეს, როგორც ძმანი ყუზანოვები, რომლებიც ჩამორჩობილ იქმნენ. ტატოს წამოყვანას ქალაქში დიდი სიფრთხილე უნდოდა და ფრანკინი იქვე ყარსში აპირობდა იმის ჩამორჩობას, მაგრამ ტფილისიდან მისწერეს, უსათუოდ ქალაქში გამოჰგზავნეთო. ტატოს წამოყვანა ქალაქში ლოლაძემ იკისრა. საკვირველი ის არის, რომ ლოლაძემ ხელ-წერილი მისცა ფრანკინის, ჩემს კისერზე იყოს ტატოს მშვიდობით ჩაყვანა ქალაქშიო და გუბერნატორმაც შეიწყნარა ეს ხელწერილი და ანდო ყაჩაღი.

ტატო წულუკიძე ჩამოარჩეს სომხების სასაფლაოს გვერდზე, ავლაბარში, 17 ნოემბერს 1879 წელს. ამ დროს ტატო იყო სულ ოც-დაექვსის წლისა. დიდი ხალხი დასწრებია ტატოს ჩამორჩობას და შებრალების მეტი არა გაისმოდა-რა თურმე მაყურებლებში. ასე გაათავა თავისი დღენი ამ მოუსვენარმა კაცმა.

(დასასრული ხვალ)

## დაბა დ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**გურია.** შემოდგომის უკანასკნელმა თთვეებმა და პირველმა თთვემ ზამთრისამ ისე გაიარა, რომ ზამთრის სუსხი არ გვინახავს. სულ მყუდრო, თბილი და ერთ ნაირი დარები იდგა და ამ მხრით თითქო ბედი უღიმოდა და თვით ბუნებაც ხელს უწყობდა ჩვენს აბეზარ ფირალებს, ასე რომ საფიქრებელი იყო, თუ სახლში არავინ მისცემდა ბინას, გარედაც შეეძლოთ ღამის გათევა და თავის გატანა. მაგრამ დადგა იანვარი, გავიდა რამდენიმე დღე და გარემოება იცვალა: ახალმა წელიწადმა, თითქო ჩვენი არევ-დარევა და უთავ-ბოლობა არაფრად ეპაშნიკაო, მრისხანედ გადმოხედა ცოდვილს დედამიწას. ჯერ საშინელი ქარიშხალები იყო, ქარიშხალებს შემდეგ თოვლი წამოვიდა და არშინ ნახევრის სიღრმე და ზოგან მეტი თოვლი მოვიდა. მოგზაურობა და მოძრაობა მხოლოდ უმთავრესს გზებზე იყო და ისიც მეტის-მეტად საძნელო. ახლა-კი არავისთვის საეჭველი და სათუო აღარ ყოფილა, რომ მინდვრად ან ტყეში ადამიანის შვილს აღარ გაეძლებოდა და, მაშასადამე, ფირალებიც სადმე ბინას მონახავდნენ და ვისმეს შეეკედლებოდნენ.

პოლიციამ და სხვებმაც იცოდნენ, რომ ფირალები ამ რამდენისამე დღის წინად სოფ. აცანიდგან, სადაც მღვდელი სილიბისტრო ჩხაიძე გაძარცვეს, უკან დაბრუნდნენ. დაბა ნაგომრის მახლობლად ისინი მდ. სუფსაზე მენავეს გაუყვანია და ამას შემდეგ იმათი ამბავი აღარაფერი გვსმენია. მხოლოდ ვიცოდით, რომ პოლიცია დიდს მზადებასა და ანგარიშში იყო, რომ როგორმე ავაზაკთა კვალს წასწყდომოდა და იმათის შეპყრობისა ან მოკვლის ალღო აეღო. პოლიციის ბოქაულთა რიცხვი ერთი-ორად გაამრავლეს, ოზურგეთში ახალი ჯარი ჩამოვიდა, რომელიც ბოქაულებს გაუნაწილეს, და სხვ.

15 ამ თთვისას, დილით, პოლიციის ბოქაულის თანაშემწე მგელაძე და აქაურის დრუჟინის აფიცერი ბ-ნი გარდაფხაძე რამდენისამე ჯარის კაცით გავიდნენ ოზურგეთიდგან. პირველი მათგანი წავიდა სოფელ უჩხუბს (ბახვის საზოგადოებაშია) და მეორე მელექედურს (დვაბზუს საზოგადოება), სადაც ფირალთა მომხრეობაში შენიშნული სახლობა უნდა გაეჩხრიკათ. უჩხუბში ბ-ნი მგელაძე დათა მაუჯაძის სახლში სრულიად მოულოდნელად წააწყდება დათუნაიშვილს და მეხუზლას. ატყდება სროლა... ორი ჯარის-კაცი მოკვდება. სიკვდილის მომასწავებელი საშინელი ხმა კიდევ გაისმის ჰაერში. ამ ხმაზე მთელი სოფელი ფეხზე დგება და მაუჯაძის სახლის სიახლოვეს იყრის თავს. თოფის ხმა ოზურგეთამდისაც სწვდება და ამასობაში იქაც მიდის ეს ამბავი. ოზურგეთში დიდი ჩოჩქოლი და ალიაქოთი ატყდება ამ ამბის გამო. ბევრი ადგება და გაეშურება იმ ადგილისკენ, საცა თოფის სროლაა ატეხილი და სისხლი იღვრება. თოფისა და ღრიანცელის ხმა ბ-ნს გარდაფხაძესაც ესმის მელექედურში და ისიც თავის ჯარის კაცებით გაეჩქარება უჩხუბისაკენ, საიდამაც ოზურგეთში ჰგზავნიან კაცს ახალის რაზმისათვის... თოფის სროლისა და არევ-დარევაში მეხუზლა გამოდის გარედ და გარბის. ამას შეჰნიშნავენ სოფლელები და გამოუდგებიან უკან. ორი სოფლის კაცი კვდება მეხუზლას თოფით. თითონაც, ეტყობა, დაჭრილია და გაქცევის ღონე არა აქვს. ეს ამბავი აძნევებს სოფლელთ და თვალს არ აშორებენ ყაჩაღს. აქ ბ-ნი გარდაფხაძე თავის ჯარის კაცებით და სხვა პოლიციელნი პირის-პირ შეხვდებიან ერთმანეთს. ყაჩაღი შეამჩნევს ერთს მოხერხებულს ალაგს იქვე ღელეში და შეეფარება, მაგრამ თოფის სროლას მაინც არ სწყვეტს. ყოველის მხრით იგერებს მდევართ. ბოლოს რამდენიმე თოფი მდევართა ზედიზედ მოხვდება და განუტევებს სულს. აქედგან მდევარნი გასწევენ მაუჯაძის სახლისკენ და აღმოჩნდება, რომ იქ დათუნაიშვილი დაურჩენიათ, რომელსაც, როგორც ეტყობოდა, გაქცევა დაუპირებია.

დაწვრილებით აწერა იმისა, თუ ვის ვისგანა აქვს თოფი მოხვედრილი, შეუძლებელია. თითონ მდევარნიც ვერ ამბობენ დანამდვილებით, თუ რომელმა მათგანმა მოჰკლა ან ერთი, ან მეორე. სათქმელი მხოლოდ ისაა, რომ თუ ეს ღრმა თოვლი არა, შესაძლებელი იყო ორივე ყაჩაღი ხელიდგან წასვლოდა პოლიციას. მართალია, მეხუზლას შესახებ ვსთქვით, რომ გარბოდაო, მაგრამ არ იფიქროთ, თოვლში შესაძლებელი ყოფილიყოს სირბილი. მეხუზლა გაიქცა ერთის ღელის დაყოლებაზე წყალ-წყალ და თითქმის ვერს ნახევრის მანძილი გაირბინა. მეხუზლას მოკვლა სოფლელთა სიმარჯვეს მიეწერება და ამას გარდა ბ-ნის გარდაფხაძის დროზე მოსვლას თავის ალაგას, ხოლო რაც შეეხება დათუნაიშვილს, აქ ბ-ნის მგელაძის სიმარჯვე უნდა ვიქონიოთ სახეში.

ასე იყო თუ ისე, ეს ორი ყაჩაღი ბოლო მოღებულ იქმნა და მსხვერპლმა მსხვერპლი გამოიწვია. ჯერ ის არის ქვეყნისათვის საზარალო და დასაკლისი, რომ ჯანითა და ღონით სავსე ახალგაზდანი ცხოვრებას ყაჩაღად და ავაზაკად გაუზრდია. მას შემდეგ ის არის სამწუხარო და სავალალო, რომ ამ ავაზაკთა მოკვლამ ოთხი მართალი ადამიანის სიკვდილი გამოიწვია. სოფლელთაგანი მოკლულნი არიან მენაბდე და შაფაქიძე, ორივე ცოლ-შვილისა და ოჯახის პატრონი კაცები. ამას გარდა ორი აქაური დრუჟინის ჯარის-კაცი გახდა ამ უბედურების მსხვერპლად, ორი მძიმედ არის დაჭრილი და ერთი მსუბუქად. სისხლის ღვრად და უბედურებად ხომ ეს კმარა და ამაზე უფრო სამწუხარო ის არის, რომ ჩვენი უბედურება და მწუხარება ამითი არ თავდება. ორი ყაჩაღი კიდევ დარჩა და კბილის მატლად და ძაღლის დასაფრთხობად ისეც გვეყოფა.

კალამი

## რუსეთი

დამშეულს გუბერნიებს შიდა რუსეთისას, სიმშილს გარდა, ახლა სხვა უბედურებაც უპირებს წვევას. დამშეულ გუბერნიების მრავალ ადგილიდგან იწერებიან რუსულს გაზეთებში, რომ სხვა-და-სხვა ავადმყოფობა ძლიერდება და განსაკუთრებით სახადიო. ხარკოვში, მაგალითად, საქალაქო ქსენონში ადგილი აღარ არის, რომ სახადიანები დააწვინონ. ამის გამო იქაურმა გუბერნატორმა წინადადება მისცა საგუბერნიო ერობას, ქალაქს მოელაპარაკეთ და შეერთებულის ძალით იღონეთ, რომ ეს გადამდები სენი არ გაძლიერდეს და არ გამძვინვარდესო. მეორე განაპირა მხარეს დამშეულის რუსეთისსა, ჩრდილოეთისკენ, პერმში უფრო ძლიერ იჩინა თავი ავადმყოფობამ. იქ ამ თთვე ნახევრის წინადვე გაჩნდა ეს სენი. თუმცა მაშინვე იღონეს შესაფერი ღონისძიებანი, მაგრამ ავად მყოფობამ თავისი გაიტანა და საშინლად გამძვინვარდა, გამოსცადა ქვენონს და ქალაქის მკვიდრთ დაერია. ყაზანიც, ეს რამდენიმე კვირაა, თავგამოდებით ებრძვის ამ სენსა. ამ წინაზედ ადგილობრივს საგუბერნიო მმართველობას თანადასწრებით უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის პროფესორთა ბჭობა ჰქონდა გამართული და ამ კრებამ ერთ-ხმად აღიარა, ჩვენს ქალაქში გადამდები სენი მძვინვარებსო.

ხსენებული უბედურება ეწვია არა მარტო ქალაქებს, სადაც მრავალი დამშეული მუშა ხალხი იყრის თავს

საშოვრისათვის, არამედ სოფლებსაცკი, მაგალითად, სიმბირსკისა, ყაზანისა და ნიჟე-გოროდის გუბერნიებში. ნიჟე-გოროდში 29 დეკემბერს სასურსათო კომისიას კრება ჰქონდა და სხვათა შორის ამ კრებამ შემდეგი აზრი დაასკვნა: ჩვენს გუბერნიაში წლეულს შედარებით წარსულს წლებთან უფრო ხშირია სახადით ავადმყოფობა და თუმცა ჯერ არ ითქმის, ვითომ ამის მიზეზით სიმშილი იყოს, მაგრამ ეს-კია, რომ სიმშილი უფრო ხელს შეუწყობს ამ სენის გავრცელებას, რადგან სიმშილისაგან დასუსტებულს სტომაქს კაცისას ადვილად ედება გადამდები სენიო. ამასთანავე ხსენებულმა კრებამ იმის თაობაზედაც მოილაპარაკა, რომ გარდაწყვეტილი 30 გირვანქა პური თვეში კაცის თავზე ძლიერ ნაკლები საზრდოა და ამისი შემცირება კიდევ 20 გირვანქამდე ყოვლად მოუხერხებელი საქმეაო.

ზემოხსენებულ ცნობათაგან აშკარად სჩანს, რომ მეტად დიდი განსაცდელი მოელის დამშეულს გუბერნიებს. მიზეზი ამისა რაც უნდა იყოს, სულ ერთია—სიმშილი იქნება, თუ სხვა რამ გარემოება,—სავალალო მხოლოდ ის არის, რომ ამ უბედურებას წლეულ ფრიად ხელშემწყობი ამხანაგი—სიმშილი გვერდში უდგას და შეიძლება თავის სამფლობელოდ მთელი დამშეული მხარე გაიხადოს რუსეთისა. მერე რა ღონისძიებით შეიძლება ამ უბედურებასთან ბრძოლა? რუსეთის უკეთეს გაზეთების აზრით, პირველი ღონისძიება ხალხის რიგიანად კვებაა, რადგანაც, როგორც ზემოდ გვქონდა მოხსენებული, დასუსტებული სტომაქი ადამიანისა ძლიერ ადვილად ითვისებს ყოველ გვარს გადამდებს სენს. მეორე ღონისძიება თვით მკურნალობის მოწყობაა დასენიანების ადგილებში.

ბევრგან ამ ჟამად მკურნალ-ფერშლები საკმარისნი არიან, მაგრამ საკმარისნი არიან მხოლოდ ამ ჟამად, როდესაც ჯერ უბედურებას ფრთა არ გაუშლია. ხოლო შემდეგისთვის მკურნალებიცა და ფერშლების მომატებაც საჭირო იქნება. მრავალი ადგილი-კი უფრო ისეთია, რომ ეხლაც ვერა შოულობენ გაჭირვების დროს ექიმსა და შემდეგ ხომ რაც იქნება, ეს ადვილად წარმოსადგენია.

ამ გარემოებამ ეხლავე უნდა აზრუნვინოს ქვეყნის მზრუნველებს ყოველივე საზრუნველი, რაც-კი შესაძლებელია, თორემ მერე გვიან-ღა იქნება. ყაზანი უკვე შეუდგა შესაფერს თადარიგს—მთავრობას 25 ათასი მანათი სთხოვა ქსენონის გასამართავად, რადგან არც ქალაქსა და არც ერობას წლევანდელ მოუსავლობის გამო შეძლება არა აქვს თავისის ხარჯით გამართოს სამკურნალო.

ეჭვი არ არის, რომ ყაზანის მაგალითისამებრ მოიქცევა მრავალი სხვა ქალაქიც, რადგანაც ისინიც არა უკეთესს ყოფაში არიან, და მთავრობაც შეიწყნარებს იმათს თხოვნას.

## წვრილი ამბავი

ბუხარის ემირმა ათი ათასი თუმანი შესწირა რუსეთის დამშეულთა სასარგებლოდ.

— ათინიდგან სწერენ პარიჟში, რომ რუსეთის მემკვიდრე ცესარევიჩს საბერძნეთის პრინც გეორგისთვის გაუგზავნია ის ჯოხი, რომელიც პრინცმა ბოროტ-განმზრახველს მკლავში დაარტყა და მემკვიდრე ცესარევიჩი გადაარჩინა იაპონიაში. ჯოხი შეჭედილია ოქროთი და ძვირფასის ქვებით და ზედ წარწერილია: „პრინცს გეორგს სახსოვრად გმირობისა“.

— ერთს ვაჭარს მოსკოვში მიუტანია საზღვარ გარეთიდგან აპპარატები, რომლის შემწეობითაც მოსწავლეებს ძლიერ გაუადვილდებათ ბუნების-მეტყველების სწავლა. ეს აპპარატები თვალსაჩინოდ უჩვენებს ადამიანს, როგორა ჩნდება ყველა ნაირი მწერი, როგორ იზრდება და იცვლება. რა თქმა უნდა, რომ ეს აპპარატები დიდს შეღავათს მისცემს ახალგაზდობას ბუნების-მეტყველების შესწავლის საქმეში.

— გაზეთი „Obzor“-ი ამბობს: „ბოლგარიის საერო განათლების მინისტრმა ბ-ნმა ჟივკოვმა ბრძანება გასცა, რომ ბოლგარიის ყველა სასელმწიფო სკოლის წიგნთ-საცავიდგან განდევნილ იყოს რუსთა მწერლების წიგნებიო“. სოფიის უმაღლესის სასწავლებლის სტუდენტებმა უკმაყოფილება გამოაცხადეს და ამბობენ, თუ ეგ ბძანება ასრულდება, სასწავლებელში არ ვივლითო.

— ლონდონი თან-და-თან დიდდება. ყოველ წელიწადს 900 ახალი სახლი შენდება. 1891 წელს დეკემბერში 799,308 სახლში მილებით იყო გაყვანილი წყალი.

— შვეიცერის მიერ ინფლუენცის ბაცილის აღმოჩენას საფრანგეთშიაც მიაქციეს ყურადღება და ამ ჟამად რამდენიმე მკურნალი გულმოდგინედ შეუდგა ინფლუენცის ბაცილის კვლევა-ძიებას.

— 1865—1890 წლამდე, ე. ი. 25 წლის განმავლობაში, შვეციაში მხოლოდ 9 კაცია სასამართლოს მიერ სიკვდილით დასჯილი. ნორვეგიაში-კი ამავე ხნის განმავლობაში 4 კაცია დასჯილი სიკვდილითა.

## წერილი რედაქციის მიმართ

თქვენის გაზთის მე-12 № ში იყო დაბეჭდილი იმათი სია, რომელთაც გორში ინებეს განსვენებულ დ. ბაქრაძის ფონდის სასარგებლოდ ფულის შეწრვა. ამ სიაში აღნიშნულია, ვითომ ივანე ზაქარიას ძეს ტერ-სტეფანოვს შეუწრავს 4 მანათი. ეს შეცდომაა. უნდა იყოს: ივ. ზ. ტ—ოვმა—2 მ., მერაბ გაბუნიამ—2 მან.

ნ. ლ.

## დეპეშა

21 იანვარი

**პეტერბურგი.** დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს ძე დაინიშნა ზღვათა კადეტის კორპუსის შეფად.

პირველ ფლოტის მოსამსახურეთ ებრძანათ, რომ სამუდამოდ ჰქონდეთ სახელი უავგუსტოესის შეფის დიდის მთავრის კონსტანტინე ნიკოლოოზის ძისა.

იმ ათ მილიონიდგან, რომელიც საზოგადო სამუშაოთათვის იყო გადადებული, განსაკუთრებულმა საბჭომ პირველსავე კრებაზედ გადასწყვიტა: მიეცეს 3,175,000 მან. ტყის გაწმენდა-გასაშენებლად; 1,290,000 მან.—ექვსის გუბერნიის სასოფლო გზების განსაკარგებლად და 425,000 მ.—გზა-ტკეცილების გასაყვანად. ამას გარდა, საბჭომ შინაგან საქმეთა მინისტრს მიანდო, დაწვრილებით გვაცნობე შენი აზრი იმის შესახებ, რომ სხვა ტომით დასახლებულს გუბერნიებში ასი მართლ-მადიდებელთ ეკკლესია და სასწავლებელი იქმნას აგებული, ელევატორები გაიმართოს და გვალვისაგან უფრო მეტად დაზარალებულს მაზრებში წყლის აუზები გაკეთდესო.

„Граж.“-ი იუწყება, რომ გუშინ სახელმწიფო საბჭოს საზოგადო კრებაზედ განიხილეს პეტერბურგში დასაარსებელ დედათა სამკურნალო კერძო ინსტიტუტის პროექტიო.

დღეს პეტრე-პავლეს ტაძარში პანაშვიდი გადაიხადეს დიდის მთავარის კონსტანტინე ნიკოლოოზის ძის გარდაცვალების მეცხრე დღეს მის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ საიმპერატორო გვარეულობის წევრნი, მემკვიდრე პრინცი შვეციისა, გენერალ-ადიუტანტი გერმანიის იმპერატორისა ვერდერი, სამხედრო და სამოქალაქო წარჩინებულნი და უცხოეთიდგან მოსული დეპუტატები.

**ათინა.** პრინცს გეორგს ინფლუენცა შეჰხვდა.

22 იანვარი

**პეტერბურგი.** ვარშავის ვიცე-გუბერნატორი ანდრეევი დაინიშნა ვარშავის გუბერნატორად; მოსკოვის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი დაინიშნა ორენბურგის გუბერნატორადა და ორენბურგის ყაზახთა მხედრობის ნაკაზნი ატამანად.

18 იანვრიდამ 20-მდე განსაკუთრებულს კომიტეტს მოუვიდა შემოწირულებანი 18,000 მანათზე მეტი.

**ს.-პეტერბურგის ბირჟა:** გირავნობის ფურცელნი ტფილისისა და ქუთაისის ბანკისა გაიყიდა 102 მან. და 25 კაპ., ობლიგაციები ტფილისის საქალაქო საკრედიტო საზოგადოებისა 98 მან. და 75 კაპიკად.

პეტერბურგის ბირჟა, 21 იანვარი

| | მყიდველთა. | | გამყიდველთა. | | გაყიდულია. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 8, | 16 | 8, | 20 | — | „ |
| ტამოჟნის კუპონები . | $162^3/_4$ | | $163^1/_4$ | | — | „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1, | 17 | 1, | 19 | — | „ |
| 5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — | „ | — | „ | 235 | |
| —მეორისა . . . . | — | „ | — | „ | 225 | |
| —მესამისა . . . . | — | „ | — | „ | — | „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი . . . . | $198^1/_2$ | | — | „ | $200^1/_2$ | |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | — | „ | — | „ | — | „ |
| 6°/₀. . . . . . | — | „ | — | „ | — | „ |
| $5^1/_2$°/₀. . . . . | — | „ | — | „ | — | „ |
| ქუთაისის ბანკისა 6°/₀. | — | „ | — | „ | — | „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — | „ | — | „ | — | „ |

## გამოსადეგი ცნობანი

### ნიხრი

1892 წ. 18 იანვრიდამ ახალი განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. „ კ.
წითელი „ 1-ის ხარისხ. „ „ „
„ „ 2
თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ „ „
„ „ „ 2 „ „ „
„ „ „ 3 „ „ „

ჯვარის მამის პურის ლავაში.

1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. კ.
მე-2 „ „ „ „ „
მე-3 „ „ „ „ „
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 8 „
„ „ 2 „ „
სუკი — — — 14 „
ცხვრის ხორცი — — 8 „
ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. 1 გ. 7 „
მე-2 ხარ. ტყავიანად 6 „

## რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.
„ . . . , . „ . 6 ს. 50 წ. საღ.
ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.
„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუაღ.
ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.
ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.
განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე; მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ორშაბათობით, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პარასკეობით, დილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის კერჩსა და ნოვოროსიისკზე. კვირაობით, დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, განთიადისას.

ფოთიდგან გადის:

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობით საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით' ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

# განცხადებანი

სომხეთა ნერსესიან სასულიერო სემინარიის სამზრუნველოს სადგომში

29 იანვარს 1892 წლისა, საღამოს 8 საათზე ვაჭრობა მოხდება (განუმეორებლად) იჯარით გასაცემად იმ უძრავ ქონებისა, რომელიც შესწირა განსვენებულმა არუთინ ოქროევმა და რომელიც რიყის ქუჩაზეა № 46

პირობათა შეტყობა შეიძლება სამზრუნველოს კანცელარიაში ყოველ დღე, გარდა კვირა უქმებისა, დილის 10—12 საათამდე.

(3—3)

## „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი . . . . . | „ | 40 |
| ქართული კედლის კალენდარი 1892 წ. . . . | „ | 40 |
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი I, II და III ტომი თითო ტომი. . | 1 | 20 |
| იგივე მშვენიერს ქაღალდზედ და მშვენიერის ყდით, თითო ტომი ცალკე . . . . . . | 2 | 50 |
| სამივე ტომი. . . . | 7 | „ |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . | 1 | 20 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა . . . . . | „ | 80 |
| მარაბდა, პოემა ან. ფურცელაძისა . . . . . | „ | 20 |
| წყალობა პოემა მისივე . | „ | 20 |
| სურამის ციხე მოთხრობა ჭონქაძისა . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . | „ | 10 |
| დემონი ლერმონტოვისა, თარგმანი მამია გურიელისა. . . . . . | „ | 15 |
| ცდა I, II და III ნაწილი. თითო ნაწ. ცალკე. . | „ | 50 |
| სამი სხვერპლი, მოთხრობა დ. კარიჭაშვილისა . . | „ | 30 |
| ნაქვთები ბოთხრობანი დ. ერისთავისა . . . . | „ | 50 |
| თორნიკე ერისთავი, ისტორიული პოემა აკაკისა . | 1 | „ |
| კიკოლიას ნაამბობი, პოემა მისივე . . . . . | „ | 20 |
| პატარა-კახი ისტორიული დრამა ლექსად მისივე . | „ | 50 |
| საყმაწვილო ამბები მისივე | „ | 40 |
| ძმური სიტყვა, დ. მაჩხანელისა, მეორე გამოცემა. | „ | 25 |
| თამარიანი ლექსად ს. გუგუნავასი . . . . . | „ | 50 |
| თამარიანი ლექსად რ. ერისთავისა . . . . . | „ | 60 |
| თხზულ. რაფ. ერისთავისა II ნაწ. . . . . . | „ | 40 |
| ჰამლეტი. თარ. ინგლ. მაჩაბლისა . . . . . . | „ | 30 |
| ოტელო, თარგმანი ინგლისურიდამ მისივე. . . | „ | 50 |
| ძუნწი, საყმ წ. სურათ. წიგნი შ. მღვიმელისა . | „ | 15 |
| მეფე ლირი შექსპირისა, თარგმანი ი. ჭავჭავაძისა და ი. მაჩაბლისა . . | „ | 60 |
| საქართველოს მოკლე ისტორია მ. ჯანაშვილისა | 1 | 60 |
| საეკკლესიო ისტორია მისივე . . . . . . | „ | 45 |

Дозв. ценз. Тифлисъ, 22-го Января 1892 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.